საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალოუბნის წმინდა გიორგის ეკლესია

კალოუბნის წმიდა გიორგის ეკლესია. თბილისი. ფოტო 1910-11

კალოუბნის წმინდა გიორგის ეკლესია, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია თბილისში. მდებარეობდა გარეთუბანში, კერძოდ, კალოუბანში. ეკლესიას საძირკველი ჩაუყარეს 1851 წ. 31. VII (ძვ. სტილით), 1850 დანგრეული წმ. გიორგის ეკლესიის ადგილზე, რ-იც ასევე „კალოუბნის" სახელწოდებით იყო ცნობილი. ეს უკანასკნელი ვახუშტი ბატონიშვილის თბილისის 1735 წლის გეგმაზეც არის დატანილი (№ 34), თუმცა მისი აგების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. გაზეთ „კავკაზის" ცნობით (1851, № 61), კალოუბნის ძველი ეკლესია მდებარეობდა ბარონის (ახლანდ. ფურცელაძის) ქუჩაზე, თბილისის „ორდინანს ჰაუსის" (ჰაუპტვახტის) შენობის უკან. ეს იყო შედარებით მცირე ზომის ეკლესია, რ-იც XIX ს. დასაწყისში უკვე საკმაოდ დაზიანებული ყოფილა. მ. ჯანაშვილი გადმოგვცემს, რომ „კალოუბნის წმ. გიორგი აგებულია უძველეს დროს და განახლებულია 1850 წ. მღვდლის იოსებ ნამორაძის მეცადინეობით". პ. იოსელიანი წერს, რომ კალოუბანში იდგა ძველი (მისი აზრით – თბილისის დაარსებისდროინდელი) ქართ. ეკლესია, რ-იც 1850 წ. დაანგრიეს, რათა ახალი აეშენებინათ. კალოუბნის წმ. გიორგის ახალი ეკლესია „რუსული სტილისა" იყო და ამ „სტილის" ერთ-ერთ უადრეს ნიმუშს წარმოადგენდა

თბილისში. ზოგადად, იგი ადრინდელი რუსული ტაძრების ფორმას იმეორებდა (კუბური კორპუსი, მრგვალი გუმბათის ყელი, „ხახვისებრი" გუმბათი), მაგრამ დეტალების დამუშავების მხრივ, სცილდებოდა ძვ. რუსული ხუროთმოძღვრების ნორმებს, კერძოდ, ეკლესიის ფასადთა გაფორმებაში ტრადიციულ რუსულ ფორმებთან ერთად გამოყენებულია კლასიციზმის ელემენტებიც. XX ს. 30-იან წლებში კალოუბნის ახალი ეკლესია, ისევე როგორც ჰაუპტვახტის შენობა, დაანგრიეს. მათ ადგილზე აიგო ახლანდ. რუსთაველის კინოთეატრი (1939; რუსთაველის გამზირი, 5).

ლიტ.: არქიტექტურა და იდენტობა, საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801–1918), თბ., 2016; ბ ე რ ი ძ ე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801– 1917 წლები, ტ. 2, თბ., 1963; გ ე რ ს ა მ ი ა თ., ძველი თბილისი, თბ., 1984.

თ. გერსამია